პროექტი

დადგენილება N

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 იანვარის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 20-ე მუხლის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. ცვლილება შევიდეს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015წლის 16 იანვარის N2 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/01/2015, სარეგისტრაციო კოდი 010250000.35.114.016243)

1. დადგენილების მეორე მუხლის მესამე პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ე[1] ქვეპუნქტი

ე[1]) 0-იდან 18 წლამდე ასაკის პირების მედიკამენტების შეძენაზე დახმარება.

2. დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 19[1] მუხლი

მუხლი 19[1]. 0-იდან 18 წლამდე ასაკის პირების მედიკამენტების შეძენაზე დახმარება.

1.დახმარების მიაღებად განმცხადებელმა მუნიციპალიტეტის გამგეობაში უნდა წარადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) დაბადების ან პირადობის მოწმობის ასლი;

დ) ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა N100) და ანგარიშ-ფაქტურა;

ე) შშმ პირის დამადასტურებელი საბუთი;

2. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის გამგებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის(ბრძანების) საფუძველზე არაუმეტეს 100(ასი) ლარისა.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტი მოამზადა: **დავით შარაშიძე**